№ 132
ივნისის 25, სამშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 132
ივნისის 25, სამშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **ექვს მანეთად** და **ათ შაურად** (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

(10—უ.—3)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ **როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის**, რომელიც ღირს-ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსი, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (10—7)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და
პერ. მიხ. კორსანიძი.

(6—18)

ვექილი

ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—4)

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა № 12.

იყიდება ვერაზედ

სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.

ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, იყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში.

(10—4).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა,
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილ.ის 12—1 საათამდის.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოც-და-თხუთმეტი (55) ვაკანსია არის: ორმოცი (40) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და თხუთმეტი მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

55 ვაკანსიიდან—46 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის, ექვსი პანსიონში თავიანთ საკუთარ ხარჯზე (წელიწადში ოცი თუმანია გადასახადი) და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს, 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 23—27 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28-ში მეორე განყოფილებაში მისაღები ეგზამენები. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1902—1903 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც. (10—1)

ტფილისი, ივნისის 25.

ბევრგვარი შემცდარი მოსაზრება ტრიალებს საზოგადოებაში და მწერლობაშიაც, რომელსაც, ასე თუ ისე, საიმისო გასავალი არა აქვს, მაგრამ ზოგი-კი ისეთია, რომ გასავალიც დიდი აქვს და დიდი ვნების მოტანაც შეუძლია.

ამ გვარ მავნებელ მოსაზრებად უნდა ჩავთვალოთ მუსულმან ქართველებზე ლაპარაკი ბათუმის და ახალციხის მაზრებში.

დღევანდლამდე ის ცრუ აზრი დამკვიდრებულა, რომ ქართველად უეჭველად ის უნდა ჩავთვალოთ, ვინც ქრისტეანია და მართლმადიდებელი. ამ აზრმა დიდი ვნება მოუტანა ახალციხის მუსულმან ქართველობას. როდესაც ახალციხის მაზრა რუსეთმა დაიჭირა, დაბალი მოხელეები ხშირად ქართველები იყვნენ, ჰხედავდნენ, რომ ხალხიც ქართველია, მაგრამ სარწმუნოებით მუსულმანი. უქადაგებდნენ ხალხს, რაკი სისხლით ქართველი ხართ, სარწმუნოებაც ქართველისა უნდა მიიღოთ, მოინათლოთო.

რა თქმა უნდა, სარწმუნოებაზე ლაპარაკი ხალხს ყოველთვის აშინებს და აშფოთებს. ამას ის მოჰყვა, რომ ხალხი ყოველ მათ ლაპარაკს ავის გულით უხვდებოდა და ბოლოს პირდაპირ უპასუხა, მე ქართველი-კი არა, თურქი ვარ, ოსმალო ვარო. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა, რომ მუსულმან სოფლებში ქართულის ენის ხმარებაც საშიშრად მიაჩნდათ და თუ ერთმანერთში ქართულად ილაპარაკებდნენ, გარეშე კაცს ოსმალურად აძლევდნენ პასუხსა. დღესაც ამისთანა შიშია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ამ გარემოების მიზეზით, სამწუხარო ამბებიც-კი გვესმის, რომ მთელი სოფლობით იყრებიან და ოსმალეთში გადადიან საცხოვრებლადაო.

ბათუმის და ართვინის მაზრების შემოერთების დროსაც, 1878 წ. ეს შიში დაიბადა იქაურ ქართველობაში და 1879 წ. დიდ-ძალი ხალხი გადასახლდა აჭარიდან, მაჭახლიდან და ქობულეთიდანაც. ხალხი შიშობდა, სისხლით ქართველები ვართო და მუსულმანობას დაგვიშლიან, გაგვაქრისტიანებენო.

არ შეიძლება არ მოვიხსენოთ, რომ იმავე 1879 წელს გაზაფხულზე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, მაშინდელი ნამესტნიკი, ბათომში ყოფნის დროს დიდ ჯამეში (მეჩეთში) ბრძანდებოდა და ხალხს დასამშვიდებელი სიტყვები უთხრა, რუსეთს მრავალი მილიონი მუსულმანი მცხოვრებელი ჰყავს, სარწმუნოებას არავინ უშლის და ნურც თქვენ შიშობთო. ეს დასამშვიდებელი სიტყვა მთელ მუსულმან ქართველობაში მოიფინა, აჭარის და მაჭახლის მიყრუებულ სოფლებშიაც-კი მიაღწია ამისთანა ამბავმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან ისევ თავს იჩენს ლაპარაკი, რომ მუსულმან ქართველობაში ქრისტეანობა უნდა შევიტანოთო. ამისთანა ლაპარაკი ხომ დარწმუნებული ვართ ლაპარაკად დარჩება, მაგრამ ხალხს ისევ შიშს აღუძრავს და კიდევ ოსმალოში გადასახლებას აფიქრებინებს.

საზოგადოდ, ეს ხომ ვიცით, რომ რუსის კანონით ძალის დატანება არ შეიძლება. მუსულმანებს ნება აქვთ თავის სარწმუნოებაზე იცხოვრონ, ჯამე (მეჩეთი) აიშენონ და სასულიერო წოდება იყოლიონ. ამას გარდა, ყველამ კარგა იცის, რომ მუსულმანობიდამ ხალხი სხვა რჯულზე არ გადადის. მაგალითად მოვიყვანთ ალჟირს. თუმცა ალჟირი, აგერ 70 წელიწადი მეტია, საფრანგეთს უჭირავს, მაგრამ ფრანგ გათქმულმა მისსიონერებმა თითქმის ვერაფერი შეიძლეს მუსულმანების გაქრისტიანებისათვის.

ამის გამო ჩვენებურ კაცების მოსაზრება ახალციხის და ბათუმის მაზრების მუსულმანების გაქრისტიანების შესახებ არაფერს სარგებლობას არ მოგვცემს. პირ-იქით დიდ ვნებას-კი მოიტან იმით, რომ ხალხს დააშინებს და ოსმალეთში გადასახლებას ხელს შეუწყობს.

თუ ჩვენის მუსულმან ქართველების დაახლოვება გვინდა, სხვა ღონისძიებას უნდა მივმართოთ: სკოლების გავრცელებას მათ შორის და ქართველ მასწავლებლების დანიშვნას იმ სკოლებში. ამის მაგიერად ახლა ყაზანის თათრებს ჰგზავნიან ხოლმე იქ მასწავლებლებად, რაკი ხალხი სარწმუნოებით მაჰმადიანია.

ბათუმის მაზრის სკოლებმა თავისი გავლენა კიდეც იქონიეს. იქ გაზდილებს სოფლებშიაც შეაქვთ წერა-კითხვის ცოდნა. ქართული წერა-კითხვა იფინება ნელ-ნელა, მაგრამ იმედია, დრო მოვა, რომ აჭარა-ქობულეთსა და ჭოროხის ხეობაზე და აგრეთვე ლივანაშიაც სკოლები ისევე გამრავლდება და გახშირდება როგორც დღეს გურიაშია. არც საკვირველი იქნება ესა, რადგან იქაურები ნამდვილი გურულები არიან.

სწავლა-განათლების გარდა, სხვა საშუალებაც ბევრია. მოქალაქობრივი, რომელიც დაგვიახლოვებს ჩვენს ძმებს. აი, სასურველი ის არის, რომ ასეთი მოქალაქობრივი ურთიერთობა გახშირდეს ჩვენსა და მათ შორის.

ტფილისი

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ პროფესორი ნ. მარი და მაგისტრანტი ივ. ჯავახიშვილი, რომელნიც აპრილის დამდეგს გაემგზავრნენ სინას მონასტერში იქაურ ქართულ სიძველეთა გამოსაკვლევად, ამ ჟამადაც იქვე იმყოფებიან. ძველი ქართული ხელ-ნაწერები ბევრი აღმოჩენილა ამ ქართველთ მონასტერში და გასარჩევად და გამოსაკვლევად დიდს დროს თურმე ითხოვს ახალგაზდა მეცნიერთაგან, რომელნიც სინაზედ დარჩებიან კიდევ 15 ივლისამდე, ისე რომ იერუსალიმისა და მის ახლო-მახლო ქართულ მონასტრების სიძველეთა გამოსაკვლევად საკმაო დრო აღარ დარჩებათ.

◆ სექტემბრიდან პროფ. მარი იწყებს ლექციების კითხვას პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულისა ჲ სომხურის სიტყვიერების შესახებ ორდინარ პროფესორის ხარისხით, ხოლო მაგისტრანტი ივ. ჯავახიშვილი—ქართულ და სომხურ ისტორიის შესახებ პრივატ-დოცენტის ხარისხით. პროფესორმა ალ. ცაგარელმა უკვე მიიღო ხარისხი დამსახურებულის ორდინარ პროფესორისა და სექტემბრიდან კვლავ განაგრძობს თავის საპედაგოგო მოღვაწეობას.

◆ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ჩვენი ცნობილი მომღერალი დიმ. არაყიშვილი, წევრი-თანამშრომელი მოსკოვის საეტნოგრაფო საზოგადოებისა. ბ-ნი არაყიშვილი ეს მეორე წელიწადია მოგზაურობს საქართველოში და ხალხურ კილოებს აგროვებს. ეხლაც ამ აზრით დაუვლია დასავლეთი საქართველო და ამ დღეებში თიანეთის მაზრაში აპირობს გამგზავრებას, რათა თუშ-ფშავ-ხევსურებში დარჩენილი სიმღერები შეისწავლოს და ფონოგრაფზედ გადმოიღოს; გარდა ამისა, განუზრახავს ძველებური საკრავების შესწავლაც; ამისათვის-კი აუცილებლად საჭიროა ფოტოგრაფიის მცოდნე კაცი; ბ-ნს არაყიშვილს მოსკოვიდგანვე მოჰყვა ერთი ასეთი ახალგაზდა და დასავლეთი საქართველოც ერთად მოიარეს მაგრამ ეხლა, სამწუხაროდ, სხვა-დასხვა საპატიო მიზეზთა გამო, იმ ახალგაზდას უარი განუცხადებია მოგზაურობაზედ. ამისათვის ბ-ნმა არაყიშვილმა გვთხოვა გამოვაცხადოთ, რომ, თუ ვინმე გამოჩნდება მასთან მოგზაურობის მსურველი (ფოტოგრაფიის ცოდნე), იგი დიდის სიამოვნებით მიიღებს თანამგზავრად, მხოლოდ ამ დღეებშივე შეატყობინოს „ივერიის“ რედაქციას თავისი სურვილი.

◆ ბ-ნი სამსონ დიდიძე, რომელმაც შარშან დაამთავრა დორპატის უნივერსიტეტში კურსი, 9 თიბათვეს დაინიშნა ტფილისის პოლკში უნცროს ექიმად.

◆ „პრავოსლ. ვოსტოკ“-ის რედაქცია გვატყობინებსო, სწერს გაზ. „ცნ. ფურც.“-ი, რომ ჟურნალის გამოცემა რედაქციამ დროებით შეაჩერაო. ხელის მომწერთ ჟურნალს შემდეგ გაუგზავნიან და ამგვარად დააკმაყოფილებენო.

◆ ავჭალის მიწის ზედამხედველმა სთხოვა გაზაფხულზედვე ტფილისის გამგეობას, რომ საჭიროა ეხლავე შეუდგეთ ქალაქის ქუჩების მორწყვის საქმესაო; ეხლავე გამოიკვლიოთ შეიძლება სარგებლობა ქალაქისავე სხვა-და-სხვა წყაროებიდამ, თუ არაო. გამგეობამ მაშინვე დაადგინა: დაიხარჯოს 400 მანეთი ამ საქმისათვისაო. იმ დროსვე აღმოჩნდა, რომ ქალაქს მხოლოდ 15 ბოჭკა ჰქონდა ქუჩების მოსარწყავად. რადგან ეხლა გამგეობას შემოესმა ქალაქის მცხოვრებთაგან საყვედური და შესაძლებელია თვით გამგეობის წევრთაც ავსებთ მტვრით თვალები, ქალაქის თავის მოადგილემ ხელ-ახლად აძრა გამგეობაში ამ საგანზედ ლაპარაკი და ამასთანავე წარუდგინა შეხედულობის მოსაზრება: 40 ბოჭკა რომ გამართოს ქალაქის ქუჩების მოსარწყავად (წყალი მტკვრისა იყოს), საკმარისი იქნებაო. ამაზედ დაიხარჯება 2,775 მანეთიო. ამ დღეებში გამგეობამ მოისმინა ეს წინადადება და განიხილა აგრეთვე ინჟ. ქურდიანის პროექტი, რომ სუფკარაპეტის წყაროს გაუკეთდეს დიდი აუზი; ღამ-ღამობით აავსებს და დღისით მოსარწყავად მოიხმარებაო. ციციშვილის აღმართის წყაროები ქიმიკოს ალიბეგოვის გამოკვლევით უსუფთაოა და მოსარწყავად არ ივარგებსო. დაბახანის წყაროდამ სარგებლობა არ შეიძლება, რადგან ბოტანიკურ ბაღს ამარაგებს. მოსკოვის ქუჩის წყაროები უსუფთაობის არხშია მიშვებული და იქიდამ სარგებლობა არ იქნება. დარჩომილია გამოსაკვლევად კირპიჩნი ქუჩის, ვერის თავადმართისა, ობსერვატორიისა და სხვა წყაროები. გამგეობამ დაადგინა: რადგან ყველა წყაროები არ არის გამოკვლეული, ამის გამო წრეულობით გამართულ იქმნას 40 ბოჭკა ცხენებით და მტკვრის წყლით მოირწყას ქუჩებიო. ამ საქმის სისრულეში მოყვანას გამგეობა ეხლავ შეუდგა.

გუშინ, 24 ივნისს, სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა იყო დანიშნული მამულებისა. კასსას დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა ფულის შესატანად. ამ დროს ვიღაც ხელმოსწრებულმა თავ. თარხნიშვილს ოქროს საათი ამოაცალა უბიდგან და სადღაც მიიმალა.

ალაგობრივის
ცხოვრების ამბები

გორი. ლიახვმა ამ ზაფხულის დამდეგს რამდენიმე კაცი დაახრჩო.

მოსავალს მშვენიერს მოელიან. ქერი უკვე გაიჭრა. ალაგ-ალაგ ჩუმი შიმშილობაა. სიმინდი 70—80 კ. ისყიდება ფუთი. პური ვისაც აქვს, პირ-და-პირ გაუკეთებელს აყრის წისქვილზედ და ისე ჰფქვავს, რომ დანიავებაში და გაკეთებაში არა გაჰყვეს რა და არ შემცირდეს ფქვილის რაოდენობა.

—

ახალსენაკიდამ სწერენ გაზ. „Нов. Об.“-ს, რომ ბაზრობაზედ, რომელიც დაიწყება ახალსენაკში 25 და გასტანს 29 ივნისამდე, მოელიან მრავლად ვაჭრებს და საზოგადოდ დიდის ვაჭრობის იმედი აქვთო.

—

გაზ. „ცნობ. ფურც.“ სიტყვით ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „კოლხიდის“ ახალმა გამგეობამ წელს დიდი მხნეობა გამოიჩინა: მან უკვე 21,000 მან. პარკი იყიდაო.

—

ოზურგეთი. მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1901 წელს ადმინისტრაციას არ უნდოდა რწმუნებულთა მიერ არჩეული ოზურგეთის ქალაქის მოურავი დაემტკიცებინა. ამ აზრით საგუბერნიო ადმინისტრაციამ პირველ ხანს ფორმალურ მიზეზებს მიჰმართა, მაგრამ ყველა მიზეზი გაუქმებულ იქმნა კანონის ახსნისა და სენატის განმარტებით. ბოლოს, ყოფილმა გუბერნატორმა, ბ-ნმა გერშელმანმა თავისის უფლებით არ დაამტკიცა არჩეული კაცი; ამასთან მოითხოვა რწმუნებულებისაგან ახალი არჩევანი მოეხდინათ.

რადგანაც მოკლე ხნის განმავლობაში სასურველ კანდიდატს ვერ მოსძებნიდნენ, რწმუნებულებმა შეადგინეს ოქმი, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ამ ჟამად სახეში არა გვყავს სხვა კაცი და ამიტომ დრო მოგვეცით კანდიდატის მოსაძებნადაო. ეს ოქმი მეორე არჩევანად ჩასთვალეს და გუბერნატორმა თავის უფლებით დანიშნა ქალაქის მოურავი.

რწმუნებულებმა აცნობეს გუბერნატორს, რომ მეორე არჩევანი არ მომხდარაო, მაგრამ გერშელმანმა უყურადღებოდ დასტოვა ეს განცხადება. მაშინ რწმუნებულთ თავიანთ თანამდებობას თავი დაანებეს და უმართებულესს სენატში საჩივარი გაგზავნეს უფლების წართმევისა და მეორე არჩევნებისათვის დროს არ მიცემისათვის.

სენატს წარსულ თვეში გაურჩევია ეს საჩივარი და სამართლიანად უცვნია ოზურგეთლების ის თხოვნა, რომ მათ დრო მისცემოდათ მოსაფიქრებლად და კანდიდატის მოსაძებნად. მაგრამ რწმუნებულთა ოქმი, რომელშიაც ეს სურვილი იყო გამოთქმული, ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ წარუდგენია სენატისათვის, ამიტომ სენატს გარდაუწყვეტია მოითხოვოს ხსენებული ოქმი (გაზ. „ცნ. ფურც.“).

—

ხიდისთავი (გურია). 19 ივნისს მოხდა ხიდისთავში უფასო სამკითხველოს არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება, ნესტორ კალანდაძის თავმჯდომარეობით.

განსახილველი შემდეგი საგნები იყო: 1) ამორჩევა ბიბლიოთეკის გამგისა და გამგეობის წევრებისა ახლად, რადგანაც ამას-წინ არჩეულმა გამგემ მოულოდნელად თავი დაანება თანამდებობას. 2) ამორჩევა წიგნთ-საცავის დამაარსებლისა. წინად ამორჩეულმა ნესტორ კალანდაძემ უარი განაცხადა დამაარსებლობაზედ.

დამაარსებლად ამორჩეულ იქმნა აქაური მღვდელი დეონტი გაგიბერიძე, გამგედ ვარლამ კალანდაძე.

გამგეობის წევრი ერემია ლომთათიძე.

—

ფოთი. ჩვენში უქმ-დღეებში ნოქართა დასვენების საქმეს არ მიეცა საშველი. ჩვენი არა ერთგზის თხოვნა ამის თაობაზედ, ქალაქის საბჭოში შეტანილი, იმ ხმოსნების წყალობით, რომელნიც აქაური ვაჭრები არიან, ერთხელაც ყურადღებით არ მოისმინეს და არ შეიწყნარეს, რაიცა ამ წლის საბჭოს ერთს კრებაზედ სრულიად დამტკიცდა. ქალაქის თავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამ კრებაზე (აპრილის) თუმცა ბევრს ეცადა ნოქართა დასვენების საქმე სამართლიანს გზაზედ დაეყენებინა, მაგრამ ვაჭარ-ხმოსნებმა მაინც თავისი ჟინიანობა გამოიჩინეს და ცდამ უქმად ჩაიარა.

თუ ქუთაისს, ბათუმს და სოხუმში, ნოქრების უქმ-დღეებში დასვენებისგან ვაჭრებს ზარალი არ მოსდით, ნუ-თუ ჩვენს ვაჭრებს მოუვათ ზარალი? საკვირველია ასეთი გულ-ქვაობა ფოთის ვაჭრებისა, რომელნიც ამ საქმეზე სხვა ჩვენ სამშობლო ქალაქების ვაჭრებზედ ფილანტროპიით დიდად უკან ჩამორჩენილნი არიან.

ჩვენი ქალაქის წინმსვლელობა მას აქეთ, რაც ბ-ნი ნ. ნიკოლაძე დაინიშნა თავად, რომ საუცხოვოდ იზრდება, ეს დღეს საზოგადო დალადია, ხოლო რაიცა შეეხება აქაურ მეეტლეთა საქციელს, ამას არავითარი გაუმჯობესება არ დაეტყო აქამდის და ამათი კინტოური თავხედობა თვით სატახტო ქალაქის გაზეთების სალაპარაკოც გახდარა. აი, ახალი მაგალითიც: ერთმა სუჯუნიდგან სავაჭრო საქონლის საყიდლად ჩამოსულმა ვაჭარმა, თავის საქმე რომ გაათავა, მოიხმო ფაეტონი და წავიდა ზღვაში საბანაოდ. როდესაც უკან დაბრუნდა, [illegible] მეეტლესთვის მოთხოვნილებისამებრ, რასაკვირველია, იმაზე მეტი, რაც ერგებოდა, (ეს ხომ ხამის მგზავრისათვის მუდმივი გადასახადია მეეტლეების სასარგებლოდ), მაგრამ სამწუხაროდ ბარგი, რომელიც ზღვაში საბანაოდ წაიღო, დაავიწყდა თურმე ფაეტონში. შემდეგ გაუგზავნა ბიჭი მეეტლეს ბარგის გამოსართმევად, მაგრამ,—ნურას უკაცრავად,—მეეტლესაგან ცივი უარი მიიღო, შემდეგის პასუხით: „გამოგზავნოს რაც მერგება ზღვაზე წაყვანის ფული და ბარგს დავუბრუნებო“, შემდეგ-კი ბევრის ვაი-ვაგლახით და საქმეში პოლიციელის ჩარევით მიიღო სუჯუნელმა ვაჭარმა უკან თავისი ბარგი. ამისთანანი არიან ფოთის ზოგიერთი მეეტლენი. ჩემი მტერი ჩავარდეს მათ ხელში!...

ნოქართაგანი.

—

თიანეთი.—უმუშევრობამ და მოუსავლობამ ხომ ისედაც ძალიან დასჭკვეთა თიანელები და ამ ვაჭრებმა უფრო მეტი უყვეს. თიანეთში შვიდ ღვინის დუქანია და ორი-კი ფარჩისა. მთლად თიანეთის მოვაჭრე ხალხი ერთ ნაირად გარყვნილია. კაცი ძალიან ხშირად გაიგონებს თიანეთის ბაზარში მოვაჭრეთა ლანძღვა-თრევას ჭუჭმაჭურ სიტყვებს, რომლითაც ისინი ან ერთმანეთს ამკობენ, ან ბაზარში ამვლელ-ჩამომვლელს. სამიკიტნოებში ერთ სუფთა ოთახს ვერ იპოვნის კაცი, რომ ღამე თავი შეაფაროს. მათ ბიჭებს რომ კაცმა შეხედოს, შეეზარება დუქანში შესვლა.

ფარჩის დუქნებზედ ხომ ლაპარაკი აღარა ღირს. აქ ყოველ დღე დიდი ოინბაზობა ხდება. თიანეთში მუდამ კვირა-უქმე დღეს სხვა სოფლებიდგან დიდ-ძალი ხალხი მოდის სავაჭროდ და მოაქვთ გასასყიდად ერბო, ყველი, მატყლი, ქათმები და სხვა წვრილ-ფეხი. ჩამოივლის თუ არა სავაჭროდ მოსული ხალხი ბაზარში,—დაუხვდებიან წინ მედუქნეების ნოქრები და ძალაუნებურად მიათრევენ თავ-თავიანთ დუქნებისაკენ. ამ ნოქრებს ჩხუბიც ხშირად გამოურევიათ ხოლმე და ერთმანეთს ლანძღვით ამკობენ. თუ მუშტრის დუქანში შეყვანაზედ ასე ძალიან ეცილებიან ერთმანეთს ნოქრები, ცხადია დუქანში შეყვანით მუშტრისაგან დიდს სარგებლობას მოელიან.

ეს მართლაც ასეა. შევა თუ არა დუქანში მუშტარი, დახლიდარიც წაუსვამს თავისებურად ქონებს. წარმოიდგინეთ, სათითაოდ ყველა მუშტარს მშვიდობაც-კი უნდა ჰკითხონ, თუნდა პირველად ჰხედავდენ მას. მუშტრისაგან მოტანილ სანოვაგეს ნახევარ ფასად იღებენ. ასე იაფად იმიტომ გაძლევთო, დაატანს ხოლმე ლაპარაკში დახლიდარი გასპარა, რომ თქვენი ხათრი გვაქვს და სავაჭროდ შემდეგშიაც ჩვენთან უნდა მობრძანდეთო. ვაჭრობის შემდეგ მუშტრებს ნემსებსაც დაურიგებენ საჩუქრად და განფეტებსაც-კი გაატანენ ხოლმე ხელში ბავშვებისათვის. ასე ოსტატურად იქცევა ჩვენებური მედუქნე-მოვაჭრენი.

თიანელი.

ფელეტონი

ბესარიონ ბერი (ფავლენიშვილი)

(დასასრული *)

უწმიდესის სინოდის კანტორის დადგენილებამ ბესარიონ ბერს გული ჩაუთუთქა, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი ტრფიალი უდაბნოში მყოფობისა, დაემორჩილა მთავრობის ბრძანებასა. საქმე ის არის—ბესარიონ ბერს უფრო ენანებოდა მოხევეთა განშორება, თუ მოხევეებს ბესარიონისა?

ბესარიონმა დიდი სახელი გაითქვა ხევში, ყველა პატივისცემით უყურებდა მისს მოღვაწეობასა და მამობრივს დარიგებასა. დღესაც მოხუცებულნი მოხევენი ლოცვა-კურთხევით ახსენებენ ბესარიონის სახელსა. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ქართველთა საყვარელ მწერალს ა. ყაზბეგს ბესარიონის უბიწო ცხოვრებამ დააწერინა სახელოვანი „მოძღვარი“. მთის ხალხი რომ ბესარიონის წინაშე მუხლს იდრეკდა და თაყვანსა სცემდა, მისის სახელის ხსენებაზედ რომ პირჯვარს იწერდა, იმავე დროს მეთაურმა ნაწილმა სამღვდელოებისამ გიჟად აღიარა ბესარიონი და მოაშორა შეყვარებულ არაგვის ხეობასა; შეუბრალებლივ მოსპო გულუბრყვილო მოღვაწეობა ბერისა, რომელმაც იმოდენა შრომა და ძალღონე შეალია კობწია მონასტრის აღშენებასა და მოწყობასა. ესრედ დაისაჯა მართალი და უმართლონი გამართლდნენ.

მაგრამ ბესარიონ ბერი შიომღვიმეშიაც ისევ ბესარიონად დარჩა. იგი დაბინავდა მიძინების ტაძრის აღმოსავლეთით მაღლა გორაზედ, ჯვარის საყდრის მახლობლად, გამოქვაბულ კლდეში, რაკი მონასტრის ძმათა უსულგულო ყოფა-ცხოვრებას ვერ შეეჩვია და ვერ აიტანა ხილვა მათის უსაქმურობისა და გაურჯელობისა. ოთხივ-კუთხივ მალე გაითქვა სახელი ბესარიონისა და ყველა მოწყალებას უგზავნიდა, ვისაც რა შეეძლო. ხშირად მონასტრის ძმათ რომ საზრდო შემოაკლდებოდათ ხოლმე, ბესარიონი უგზავნიდა. ერთხელ ხარებობის დღეს ბერებს არა ჰქონდათ ახალი თევზი, ვერსად იშოვეს; ბესარიონ ბერმა აიღო და მთელი ცოცხალი ორაგული გამოუგზავნა და ნუგეში სცა დაღონებულ დაძმარებულებს *).

მაგრამ ბერებმა მაინც აითვალწუნეს ბესარიონი და ნამსახურობის ქაღალდში ჩაუწერეს: „... საღმრთო მსახურების (წირვა-ლოცვა) გარდა სხვა არა რაჲმე მორჩილება არ შეუძლიან სისულელისა გამოო (по скудоумію)“. შიომღვიმის ხაზინადარმა მღვდელ-მონაზონმა ათანასიმ მოახსენა 1823 წ. 23 ივლისს არხიმანდრიტს ირინეოსს (სემინარიის რექტორი): „წარსულის წლის (1822 წ.) 25 აპრილს მებრძანა თქვენგან, რომ მარტოდ მცხოვრები ბესარიონ ბერი მონასტრის მახლობლად გადმომეყვანა მონასტერში საცხოვრებლად; არ მიმეცა ნება ქაღალდების წერისა, რომ მთავრობას თავი არ აბეზროსო, თვალ-ყური მჭეროდა მისს ყოფა-ქცევაზედაო და ყველაფერი რაპორტით მომეხსენებინა მთავრობისათვისაო. მაგრამ ა) ბესარიონ ბერი თავისუფლად დაიარება აქეთ-იქით და მთელ კვირაობით მონასტერში არ იმყოფებაო; ბ) არაფერში მემორჩილება და მბრძანებლობას—ბატონობას არ იშლისო; გ) მლოცავთაგან ჰკრებავს საძმო საწირავსა და სხვა შემოსავალსა და არაფერს გვანებებსო.

ამის გამო ჩამოიყვანეს საწყალობელი ბესარიონი ტფილისში და ეგზარხოსის კანცელარიაში ჩამოართვეს ჩვენება 10 აგვისტოს: „ა) მართალია, შარშან ერთხელ წამოველ შიომღვიმიდგან წინამძღვრის დაუთხოვნელად, მაგრამ მხოლოდ მოსაძებნელად მთათა შინა განმხოლოებულისა ადგილისა, რადგან არა მსურის ცხოვრება ძმათა თანა. ბ) ჩემი თავი მბრძანებლად არაოდეს არ წარმომიდგენია; პირ-იქით, ყოველთვის და ეხლაც მსურს განვშორდე საითმე და მარტოდ ვიცხოვრო. გ) არაოდეს არ მიმიღია მომავალთა კაცთაგან საძმო შემოსავალნი და არ მიმითვისებია. ყველა ესე მოუხსენებია შიომღვიმის ხაზინადარს ათანასეს მტერობით, რადგანაც თავადნი და აზნაურნი მიგზავნიან ხშირად მოწყალებასა ფულად და ხორაგად საკუთართა წერილთა თანა, რომელთაცა, თუ ინებებთ, წარმოვადგენ. დ) შიომღვიმიდგან, მართალია, წამოველ 18 ივნისს გამოვეთხოვებოდი ეგზარხოსს, რათა განმარტოებით მეცხოვრნა; მივედ არხიმანდრიტ ირინეოსთან, მაგრამ გამიწყრა და კარში გამომაგდო. იმ ღამეს სოფელ ჩუღურეთში ვიყავ; მეორე დილით-კი დამიბარა და მიბრძანა—არზითა მთხოვეო. მე არზა მივართვი ეგზარხოსის სახელზედ, რა-კი არ ვიცოდი, ვის სახელზედ მიმეცა. მე არავისთან დავიარები ტფილისში, თუ არ ნათესავებთანა“.

ჩვენ-კი ვიცით, რომ ბესარიონი ღვთისნიერად სცხოვრებდა. წერა-კითხ. საზ. მუზეუმში არის მხედრული ხელნაწერი, № 1117, რომლის 483 გვ. ვკითხულობთ: „ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკრიფა, რომელ არს მოძღუართაი. ხოლო საკითხავი და არა ყოვლისა ერისა საჯმნო ყოფუცებთა და უმეცართა, ვითარცა შჯულის კანონი. უწყის ჟუნ, თუ მიხვდეს კაცი ბრძენი გულისხმიერი, დედაი არს ყოვლისა მეცნიერებისაი. ღმერთო, შენ შემწე მექმენ. ვიწყე იოანე მოწყალის ცხოვრება იანვარს იბ, წელსა ჩყკა (1821 წ.) სრულ იქმნა წიგნი ესე იოანე მოწყალისა ხელითა გლახაკის ბესარიონ მღუდელ-მონაზონის მარტოდ მცხოვრებელის ფავლენიშვილისათა, იანვარს, კზ, წელსა ჩყკა“. საბრალო ბესარიონი იანვრის ყინვა-სიცივეში შიომღვიმის ერთ-ერთს გამოქვაბულს კლდეში უცეცხლოდ სცხოვრობს და ლოცვა-ვედრებას არა სჯერდება: ორის კვირის განმავლობაში უშველებელს წიგნსა სწერს. ამავე დროს სხვა ბერმონაზონნი ერთმანეთზედ ბეზღობით და საჩივრების წერით ერთობიან და ვარჯიშობენ—ერთმა მეორეს როგორ გაუსწროს ამისთანა დასაძრახისს საქმეში. არ ასვენებენ საცოდავს ბესარიონს, ვინაიდგან „შურმან ხენეშისამან არა უწყის სიმართლე“.

ეგზარხოსის ბრძანებით ბესარიონი დაამწყვდიეს ტფილისის მონასტერში. მაგრამ საბრალომ ვერ აიტანა მბრძანებელთა თავგასულობა და ენატრებოდა სადმე კლდე-ღრეში მარტოდ ცხოვრება.

ორი კვირაც არ გასულა, რომ დარიის მონასტრის წინამძღვარმა ირინეოსმა 21 აგვისტოს 1823 წ. რაპორტით მოახსენა ეგზარხოსს: „ბესარიონ ბერმა სრულიად აიღო ხელი ჩემს მორჩილებაზედ, დაეთრევა ქალაქში (шатается по Тифлису) და ხან საღამოთი მოდის მონასტერში, ხან დილითაო, ჩემ დაუკითხავად მიდის-მოდისო. გუშინ ვცადე უკანასკნელად და ჩავაგონე, ხელი აიღოს ჩემ დაუკითხავად აქა-იქ სიარულზეო და ეწირნა და ელოცნაო, ვიდრე მთავრობა ახალ განკარგულებას მოახდენსო, ამასთანავე ვუბრძანე დაეთხოვნა ვიღაც ქართველი, რომლის ვინაობა არ ვიცით. ამაზედ ბესარიონმა მიპასუხა: „не хочу, не могу, не буду“. უცნობის ქართველის შესახებ დაუმატა: თუ მაგას გააგდებთ, მეც წავალო. მე მეშინიან სხვა ბერებმა არ მიჰბაძონ ბესარიონსაო. ამიტომ გთხოვთ ან მორჩილებაზედ დააყენეთ, ან არა და გამორიცხეთ შიო მღვიმის ძმობიდგანაო“.

იმავე დღეს, 21 აგვისტოს, მიიყვანეს ბესარიონი ეგზარხოსის კანცელარიაში და ჩამოართვეს შემდეგი ჩვენება: „თუმცა ეგზარხოსმა მიბრძანა—ჩემს ნებად არსად მევლო უდაბნოდამ, საერთო შემოსავალნი არ მიმეღო და ჩემის წოდების შესაფერად მეცხოვრა, მაგრამ 11 აგვისტოს ხელწერილი არ მივეცი, რადგან არაოდეს არ მიცხოვრია და არცა მსურს ცხოვრება შიომღვიმის უდაბნოში ერთად ძმათა თანა. მაქვს სურვილი ნაშთი სიცოცხლისა ჩემისა განვატარო ჩემთა ნათესავთა მახლობლად, არა შორს სოფელს ერედვზედ მთაში მდგომარე მცხეთის ჯვარის საყდარში“.

ირინეოსის დაბეზღებას არ დაეთანხმა ბესარიონი ჲ დაუმატა: „მამა არხიმანდრიტის ირინეოსის ესე ვითარნი მოქცევანი ჩემზედა მაიძულებენ—ან განვეშორო შიო მღვიმის უდაბნოს, და ანუ ვსთხოვო მთავრობას ამხადონ მღუდელობისა ხარისხი“.

ეგზარხოსმა უბრძანა ბესარიონს მეორე დღეს—შიო მღვიმეში წასულიყო და ბერებთან ეცხოვრნა. მაგრამ 25 აგვისტოს 1823 წ. ბესარიონმა შემდეგი თხოვნა მიართვა ეგზარხოსს: „დღემდე მე განმხოლოებულად მიცხოვრია და დღეს მიბრძანებთ ბერებთან ვიცხოვრო. რადგან ესე არ შემიძლიან, გთხოვთ დამითხოვოთ და მამა პაპის სახლში ვიცხოვრებ, გორის მაზრაში, ისე როგორც მღვდელმონაზონი იოსტოსი *), რომელიც მიიცვალა თავის სახლში. მე ჯამაგირი არა მინდა-რა“.

27 აგვისტოს მოისმინა ესე საქმე სასინოდო კანტორამ და დაადგინა: „მიეცეს ნება ერედვში ცხოვრებისა და ხელწერილი ჩამოერთვას, არსად იაროსო“.

ხელწერილი ჩამოართვეს სეკდემბრის 10-ს. გაიდა თერთმეტი თვე და ბოროტმა ენამ საიდგანღაც კიდევ დააბეზღა ბესარიონი მთავრობასთან. ამიტომ სასინოდო კანტორამ დაადგინა 30 ივლისს 1824 წ.: „მიეწეროს საქართველოს გუბერნატორს ხოვენს მოახდინოს განკარგულება გამოიკითხონ (дознать) გორის ოლქის უფროსის საშუალებით—როგორ იქცევა შიო მღვიმიდგან დათხოვნილი ბესარიონ ბერი ს. ერედვში? სადა სცხოვრობს—ნათესავებთან, თუ სხვაგან სადმეო?“

ხოვენმა მოახდინა ჯეროვანი განკარგულება და 1824 წ. 20 ენკენისთვიდამ № 3262 მოახსენა ეგზარხოსს: „გორის ოლქის უფროსმა, მაიორმა პეტროვმა ჩემის ბრძანებით შეკრიბა საჭირო ცნობანი ბესარიონ ბერზედ და მომახსენა შემდეგი:—ბესარიონ ბერს ფავლენოვს ჰქონია საცხოვრებელი ბინა ს. ერედვის ზევით ტყეში, ძველ საყდართან (მცხეთის ჯვარისა) ცალკე კელიაში და ატარებდა მეუდაბნოის (пустынническую жизнь) ცხოვრებასა, მაგრამ წარსულ ივნისის 18 რომ ღამებულა და 19 თენდებოდა, დასცემიან ღამე ოსები, აუკლიათ ყველაფერი და თვით ბესარიონი მოუკლავთ. მისი გვამი დაუსაფლავებიათ ერედვის შტატის საყდარში“.

მოისმინა-რა სასინოდო კანტორამ, დაადგინა—ეს საქმე არხივში ჩაჰბარდესო! **).

ბესარიონ ბერს რკინის ქუდი თურმე ეხურა თავს და პერანგ ქვეშ ატარებდა რკინისვე ჯაჭვის დადიანსა, რომელნიც დღე მისს საფლავს ამკობენ თურმე, ესრეთია ჩვე ცხოვრება, აღსავსე ავ-კაცობითა და ბოროტებითა: პირუტყვნი გაცილებით უფრო მშვიდობიანად ცხოვრობენ კლდე ღრეებში, ტყე მინდვრად, ვიდრე პირმეტყველნი მფლობელნი ქვეყნისა!

ნეტა, რა შეჰშურდათ ოსებს საწყალობელ ბესარიონისა, რომ უმისოდაც ჩამწარებულ სიცოცხლე ასე შეუბრალებლივ მოუსპეს?!

მღ. პ. კარბელაშვილი.

---

*) იხილე „ივერია“ № 117.

*) იხ. Жизнеопис. св. Груз. ц. 1 ч. Сабинина, 105 გვ.

*) ანდრონიკაშვილი † 1823 წ.

**) იხ. საქმე სასინ. კანტორისა 1823 წ. 1011.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამი. — „სახლი გაქირავე თუ არა?“

— სად ოხრობაში გავქირავებდი, სხვა არაფერს რა, ე გაზეთებმა გააჭირეს საქმე, ამ ვერნებმა, სულ ერთიანად დააფრთხეს ხალხი...

— ეს ყველაფერი ქვიშხეთელების ბრალია, ისინი სწერენ სურამზე ცუდ ამბებს.

— იმ ოჯახ-დაქცეულებმა ღამის ცოლისა და ქმრის სიდედამთილობაც გაიტანონ ოჯახიდგან და გაზეთებში ჩასწერონ...

— ოხრად დარჩა ეს წელიწადი, წინადვე ოცი თუმანი ვალი ავიღე, სახლს გავქირავებ და გადავიხდი-მეთქი, მაგრამ შეხე, რა მომივიდა?!...

— მეც აგრე დამემართა, ნეტავ, ისევ წინად გამექირავებინა, ოც-და-სამი თუმანი მაძლიეს, ახლა-კი ათსაც არავინ მაძლევს...

აი, ამას ეუბნებიან სურამელები ერთმანეთს სალამის მაგიერ. მართალიც-და კარგი საქმე არ მოუვიდათ. მამასახლისებმა პირველშივე ისე დააფრთხეს მოაგარაკეები დიდის ფასებით, რომ თავის დღეში სურამის ნახვასაც აღარ მოინდომებენ. ამიტომ დარჩა ბევრი სახლი გაუქირავებელი, სახლის პატრონი-კი—ხახა-მშრალი...

მთელი სურამი გაცოცხლებულია. მაღალ ადგილიდგან, რომ გადახედოს კაცმა სურამს, ნამდვილს სამოთხეებს იგრძნობს. მსურველთათვის გასართობებიც ბევრია: აქამდე პარკში კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ უკრავდა მუსიკა, ახლა-კი ახლად გამართულ ბაღში „სან-რივალ“-შიც უკრის მუსიკა. ამ ბაღში მუსიკამ პირველად ოც თიბათვეს დაუკრა და ამის შემდეგ ყოველ-დღე დაუკრავს და სეირნობა გაიმართება.

ამავე ბაღში მოთავსებულია საზაფხულო თეატრი, რომელშიაც აქაური სცენის მოყვარეები 30 თიბათვეს წარმოდგენის გამართვას აპირებენ რუსულსა და ქართულ ენაზე. ქართულად წარმოდგენილი იქმნება „არც აქეთ, არც იქით“ ვალერიან გუნიასი და „შვილის მჭირს“ ავქ. ცაგარლისა. შემოსავალი გადადებულ იქმნება აქაურ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

აქეთ ძალიან ჭინჭყლიანი დარებია.

რომანოსი.

—

ტეძერი (გორის მაზრა). 19 მაისს, ღამით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი დაეცნენ აქაურს ეკლესიას, კარები გასტეხეს და შიგ შეცვივდნენ. მაგრამ საბედნიეროდ არაფერი დახვდათ: სანთლის ფული და ძვირფასი სამკაული ს. ბეკამში იყო. ბოროტ-განმზრახველებმა რომ ველარაფერი იპოვეს ეკლესიაში, ნივთები აქეთ-იქით გადისროლეს, ყველაფერი აურიეს, გასწორეს კარები და წავიდნენ. ბოროტ-განმზრახველების ვინაობა ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

კავკასია

საბუნჩა. ნავთის მუშაობამ იმატა. ამის მიხედვით აქაურს ქარხნებში მუშათა რიცხვს 25% მოემატა. ნავთის ფასები-კი დღესაც ცოცხალ-მკვდარს მოგვაგონებსთ...

აქაურ ქარხნებში ბევრი ქართველი მოხელე იყო, ზოგიერთს მათგანს საპატიო ადგილიც ეჭირა, როგორც, მაგალითად: თავ. თუმანიშვილს და ამირეჯიბს (პირველი მოურავად ითვლებოდა „Бакинск. Общест. Рус. Нефти“-ში, მეორე-კი მთა-მადნის ინჟინერია და განყოფილების მმართველად იყო (завѣд. участкомъ), მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, დღეს ამ ფირმაშიაც დაიწყეს ქართველების ათვალწუნება და ნელ-ნელა აძევებენ აქედგან.—დაითხოვეს თ. თუმანიშვილი და ამირეჯიბი; მათ დათხოვნას ბევრი სხვა პატარა ქართველ მოხელის დათხოვნაც მოჰყვა... პირველთ რა უშავთ?—პატარეების მდგომარეობა-კი არ არის სახარბიელო...

ერთი ამ პატარა მოხელეთაგანი, ვინმე კ. მსახურობდა მ—ს ფირმაში და ემორჩილებოდა განყოფილების მმართველს ც—ს. კ—ის სამსახურიდგან დათხოვნა, როგორც მუყაითის ყმაწვილისა, არ არის სასიამოვნო, ხოლო მისი დათხოვნის მიზეზი, რომლითაც ხელმძღვანელობს ბ-ნი ც. სწორედ სასაცილოა.—აი საქმე როგორ ყოფილა: ბ-ნს ც—ს ლამაზი მოსამსახურე-გოგო ჰყოლია, რომელსაც გვარისებული ხტუნვა-ცელქობა დაუწყია თურმე და ც—ს იგი დაუთხოვნია თავის სახლიდგან. გოგო მოსცილებია ალას და სადღაც სხვა უბანში გადასახლებულა. გასულა რამდენიმე დღე და კ—ი და გოგო ერთმანეთს შეხვედრიან ქუჩაში; გოგოს კ—ი მიუპატიჟნია სახლში, იგიც სწვევია. ეს ბ-ნის ც—ს ყურამდე მისულა და კ—ი სამსახურიდგან დაუთხოვნია...

გოგოს შეხვედრას და მის წვევას კ—ის სამსახურთან რა აქვს საერთო?!? აშკარაა, რომ ეს უბრალო შემთხვევა ბ-ნმა ც—მ მიზეზად გამოიყენა...

—

ბაქო. 21 ივნისს ექსკურსანტებმა პროფ. პეტრიაშვილის მეთაურობით დაათვალიერეს ბალახანის ნავთის წყაროები და ქარხნები. დაათვალიერეს აგრეთვე ის ადგილები სურახანში, სადაც ბოლი ამოდის. საღამოზედ ვახშმად მიიწვიეს პროფესორი ექსკურსანტებით საარტისტო საზოგადოების სტარშინებმა ამ საზოგადოების საზაფხულო სადგომში.

კავკავი. კავკავის რკინის გზის საზოგადოების მმართველობამ გარდასწყვიტა დაასაჩუქროს რკინის გზის მოხელენი 290,000 მანეთით. ამ ფულიდგან გზის უფროსს მიეცემა 10,000 მან., წევა-ზიდვის სამსახურის უფროსს—6,000 მან., უმთავრეს საანგარიშოს უფროსს—3,000 მან., სხვა უფროსებს —4.000 მან. თითოეულს, ხოლო მათ თანაშემწეთ ათასიდამ ორი ათას მანეთამდის.

უცხოეთი

ინგლისი. შესწყდა უსამართლო ელეტა-ხოცვა დ სისხლის ღვრა სამხრეთ-აფრიკაში: პატარა გმირმა ქედი მოიხარა; დიდმა ინგლისმა გაიმარჯვა. თუ პირველმა თავის მამაცობით განაცვიფრა ქვეყნიერობა, მეორეს უნდოდა ქეიფითა და დროს გატარებით გაეკვირვებინა ყველანი. ჰკრეს ნაღარასა; შეიქნა წვეულობა და პატიჟი. „შეკრბნენ ყოველნი მოსულნი ცხოველნი“ და ემზადებოდნენ შვება-ლხენასა, მაგრამ... სამართალმა პური სჭამა: საგვირგვინოდ გამზადებული მეფე სარეცელზედ გაწვა, შვება-ლხენა გმინვა-დრტვინვად შეიცვალა.

ორ წელიწად-ნახევარი ძლიერებით ამაყი ალბიონი ჰკვეთდა და ჰმუსრავდა პაწაწინა თავისუფალს ერს... ასტყდა უსაშინელესი უთანაბრო ბრძოლა; გაცხარებულის ომის დროს გაძაბრუნდა და მოკვდა ინგლისის მხცოვანი დედოფალი; ხალხსა სჯერა, რომ იგი მოხუცებულობამ არ მოჰკლა, არამედ ცრემლის ღვრამ, რომელსაც უერთებდა უსამართლოდ დანთხეულ სისხლის ნაკადს... ავიდა ტახტზედ მისი შვილი, მაგრამ იგიც ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო კაცებმა, და საბრალო თავისუფლების მოყვარე ერს გაორკეცებულის სიბრაზით ეკვეთნენ. ბრძოლის ველზედ მარტოოდენ დედაკაცნი და ბავშვნი დარჩნენ, მამაკაცობა ან გასწყდა, ან ტყვედ ჩაუვარდა მტერს ხელში; მაგრამ ინგლისის მამაცი ჯარი ასი-ათასობით მოდიოდა ამ ერთ მუჭა ბავშვ-დედაკაცთა წინააღმდეგ.

მთელი წელიწადი გასტანა ამ სამარცხვინო ომმა. მეფე საგვირგვინოდ გაემზადა და იმ დროს, როცა იქ, სამხრეთ-აფრიკაში, გალაღებული და გულ-ზვიადი ალბიონი უკანასკნელს სულსა ჰხდიდა გავერანებულ მამულის შვილთ,—აქ, ინგლისში, მომავალ გამარჯვების ლოდინში სადღესასწაულო მზადებაში იყვნენ, აშენებდნენ და ამკობდნენ დედაქალაქს, ალურიცხველს ხარჯს ეწეოდნენ, რომ მთელი მსოფლიო გაეკვირვებიათ ზღაპრულის მასპინძლობით, თითქოს იმასა სცდილობდა, რომ დაღვრილი სისხლის ნაკადნი სიმდიდრითა და სიუხვით ამოეშრო და ნადიმის ზაითა და ზეიმით დაეფარა დაჩაგრულთა კვნესა-ქვითინი. ამისათვის კეთილ-ინება და ზავი ჩამოუგდო იმ გმირთა მცირე გუნდს, რომელიც რაღაც სასწაულით გაწყვეტას გადაურჩა.

უგვანის ლოთობითა და ღრიანცელით მიეგება ამ ზავს ალბიონის დედა-ქალაქი. პატარა ერის სისხლით გამაძღარმა ხალხმა შეჰქნა ღრიალი: „მეფემ გვირგვინი იკურთხოს და მტერს თვალი დავუუყენოთ!“ მოსწყდა მილეთის ხალხი, თვალ-მარგალიტსა და ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი, შეიქმნა სანოვაგე-სურსათის მოზიდვა ყოველის კუთხიდგან; ყოველივე მოირთო და მოიკაზმა სადღესასწაულოდ; და ამ დროს, მხიარულების ბურუსში გახვეულ ლონდონში გავარდა ხმა—მეფე დაიღალაო; შემდეგ—მეფე უღონოდ შეიქმნა, და ბოლოს—მეფე—მძიმედ ავადმყოფი—ლოგინად ჩავარდაო, რის გამოც დღესასწაულები განუსაზღვრელ დროისათვის გადიდვაო ..

ყველას ელდა ეცა. თავზარ-დაცემული ხალხი ერთმანეთს შეჰყურებს და ვერ-კი მოჰკვდარა ასეთ ღვთის წყრომას. ამდენმა მზადებამ და ხარჯმა სრულიად ფუჭად, ამაოდ ჩაუარა.

დიახ, სამართალმა პური სჭამა!

საფრანგეთი. დეპუტატთა პალატაში დამატებით კრედიტის განხილვის დროს ბარონ რეილმა დიდად გაჰკიცხა ყოფილ მინისტრის კაიოს საფინანსო პოლიტიკა. ეხლანდელ მინისტრის რუვიეს აზრით საფრანგეთის ფინანსები ისეთ მდგომარეობაში ყოფილა, რომ პალატამ უეჭველად უნდა გაანთავისუფლოს იგი იმ ხარჯებისაგან, ურომლისოდაც მას იოლად წასვლა შეუძლიან. უპირველეს ყოვლისაო—სთქვა მინისტრმა—ჩვენ ძლიერი ჯარი უნდა გავიჩინოთ, რათა სამშობლო უზრუნველ-ვყოთ გარეშე მტრისაგან და ამისათვის ხარჯებიც უნდა შევამციროთო.

რუვიეს სიტყვა დიდად მოიწონეს ცენტრმა და მემარჯვენეთ, მაგრამ მემარცხენეთა დეპუტატებმა რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინეს იგი ორატორს. ჟორესმა უპასუხა, რომ საფრანგეთი მხოლოდ მაშინ გახდება ძლიერი, როდესაც იგი პროგრესის ქვეყანად შეიქნებაო. სამხედრო ხარჯების მომატება-კი—შიშისა და ფანატიზმის შედეგიაო. შემდეგ ამისა დამატებით კრედიტის კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა 456 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 25.

— საფრანგეთში ხელახლად ძლიერდება სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო აგიტაცია. ამას წინად საფრანგეთის ბირჟის მუშათა ამხანაგობამ დიდი მიტინგი გამართა პარიჟში, რომელზედაც ქ-ნმა გენრიეტტა მეიერმა მკვირცხლი და საუცხოვოდ დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა. ორატორი გადაჭრით თხოულობდა, რომ სიკვდილით დასჯა უეჭველად გაიდევნოს კანონებიდგან, რომელიც ხუთ შემთხვევაში ხმარობს ამ ბარბაროსულ სასჯელსაო. მიტინგის თავმჯდომარედ ანატოლ ფრანსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო კრებას და სამაგიეროდ ვრცელი წერილი გამოგზავნა; სახელოვანი მწერალი ამ წერილში ჯერ ისტორიულად იხილავს ამ კანონს და შემდეგ დიდის სიფრთხილითა ხსნის მის თანამედროვე მნიშვნელობას. ღრმა ცოდნითა და ძლიერის ნიჭით აღჭურვილი მწერალი უმოწყალოდა ჰგმობს ამ ბარბაროსულს კანონს, როგორც ველურ ჩვეულებას. მეტად საყურადღებოა წერილის ის ნაწილი, საცა ავტორი სამხედრო კანონებს ეხება; მისის აზრით, დიდი მეტიჩრობა და შეუსაბამობაა კანონმდებლობის დანაწილება სხვა-და-სხვა წოდებათა შორის; რა წითელი კოჭია სამხედრო უწყება, რომ მათთვის საერთო კანონმდებლობამ არ იკმარა და სხვა კანონები მიანიჭეთო; დღეს თუ ეს მოხდა, ხვალ მასვე მოითხოვს საფინანსო უწყება, ზეგ—საერო განათლებისა და სხ. ასე რომ, ბოლოს ყოველს კაცს საკუთარი კანონები ექნებაო. ბოლოს იგი იმედს აცხადებს, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა; თუ ჩვენ ვერა, იქნება ჩვენი შვილები მაინც მოესწრონ მის გაუქმებასაო, ვინაიდგან ეს ისეთივე ახირებული დაწესებულებაა, როგორიც წინად ფეოდალური და საეკლესიო სამსჯავროები იყო.

კრებამ ერთხმად დაადგინა თხოვნა მიართვან, სადაც ჯერ არს, რომ სიკვდილით დასჯა გაუქმებულ იქმნას; ანატოლ ფრანსმა შემოუთვალა კრებას, რომ მაგ თხოვნას სიამოვნებით მოვაწერ ხელსაო. ეხლანდელ მთავრობაში ბევრია ამ კანონის წინააღმდეგი და იმედია, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

— 14 თიბათვეს პალატას შეეკითხნენ ემბერის ბოროტ-მოქმედების შესახებ დეპუტატები მირმანი (სოციალისტი) და ბინდერილი (კონსერვატორი); ამ საყურადღებო საქმემ დიდ-ძალი საზოგადოება შეჰკრიბა პალატაში. (ხვალ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს კრების ამბავს).

გერმანია. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან, რომ გერმანიის მთავრობასა და ვატიკანს შორის მოლაპარაკებაა გამართული ბერლინში პაპის საელჩოს დაწესების შესახებ. ამ მოლაპარაკებას მჭიდრო კავშირი აქვს იმპერატორ ვილჰელმის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან, რომელშიაც იგი მთავრობისა და კათოლიკურ ეკკლესიის ურთიერთობას შეეხო. გარდა ამისა ეს მოლაპარაკება პირდაპირი შედეგია გერმანიის საიმპერიო პოლიტიკისა, რომელსაც აზრადა აქვს ხელიდგან გამოაცალოს საფრანგეთს კათოლიკურ დაწესებულებათა პროტექტორატი აღმოსავლეთ აზიაში.

ავსტრია-უნგრეთი. „Slovo Polskie“-ს სიტყვით ავსტრიის მთავრობას უცნობებია გალიციის სეიმში პოლონელთა დასის მეთაურებისათვის, რომ იგი უეჭველად დაითხოვს სეიმს, თუ პოლონელთა დასმა რაიმე საწინააღმდეგო რეზოლიუცია მიიღო გერმანიის იმპერატორის საპოლონელო პოლიტიკის შესახებაო.

ჩინეთი. „Times“-ი იუწყება, რომ ბრიუსელში, აღმოსავლეთის კათოლიკურ მისიათა მთავარ რეზიდენციაში, წერილი მიუღიათ ბელგიის მისიონერისაგან, რომელიც ჩჟილის ოლქიდგან მეტად უნუგეშო ამბებს იწერება. მისის სიტყვით, 150 ვერსის მანძილზედ, ბაოდინფუს სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებნი აღელდნენო. იგინი უარს ამბობენ ახალ გადასახადებზედ, და არც იმ ნადავლის დაბრუნებას უპირებენ ქრისტიანებს, რომელიც ბოქსიორების ბრბომ წაართვა მათ. ამ ჟამად 50,000 ბოქსიორი შეიარაღებულა და მხოლოდ მოხერხებულს დროს ელის, რომ მოქმედებას მიჰყოს ხელი. ვეი-შინში უკვე მოუკლავთ ბელგიელი მღვდელი. მთავრობამ მეამბოხეთა წინააღმდეგ დიდ-ძალი ჯარი გაგზავნაო.

იაპონია. სეულიდგან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს, რომ იაპონიის წარმომადგენელმა კორეის მთავრობას მემორანდუმი წარუდგინა, რომელშიაც საფინანსო საქმეებში ძირითადად ცვლილებათა მოხდენას თხოულობს.

კორეის ორ ოლქში არეულობა მოხდა, რომელიც ხარკის ამკრებთა უდიერობამ გამოიწვია. ერთგან მოუკლავთ ექვსი იაპონელი მეთევზე, მეორედგან—სამი.

ინგლისი. გაზეთი „Times“ იტყობინება, რომ ექიმები, რომელნიც ედუარდ VII-ს სწამლობენ, დიდის გულის წყრომით უარჰყოფენ საზოგადოებაში გავრცელებულს ხმებს, ვითომც იგინი განგებ ჰფარავდნენ მეფის მძიმე ავადმყოფობას. გაზეთი იუწყება, რომ ნატამალი სიმართლეც-კი არ მიუძღვის ამ ხმებსაო.

— დღესასწაულების გადადებას დიდი არეულობა მოჰყვა უატფორდში (ლონდონის მახლობლად). როცა დღესასწაულის კომიტეტმა გაჩირაღდნების ნება არ მისცა ხალხს, იგრიალა ურიცხვმა ბრბომ და სრულებით გაანადგურა კომიტეტის თავმჯდომარის სადგომი, გასძარცვა მისი მაღაზია, საქონელი ქუჩაზედ გამოჰყარა და ცეცხლი წაუკიდა. საჭირო შეიქნა მოწვევა ცეცხლის მქრობ რაზმისა, რომელმაც დიდის გაჭირვებით ჩააქრო ცეცხლი. პოლიციამ ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა, პირ-იქით ბევრი მათგანი დაშავდა. რის ვაი-ვაგლახით გათენებისას ძლივს დააშოშმინეს ხალხი. დაპატიმრებულია 36 კაცი.

სხვა-და-სხვა წერილები

წერილი ალ. ხახანაშვილისადმი *)

I

შესავალი. „ივერიის“ № 130 ჩემ შესახებ დაიბეჭდა საკვირველი ცნობები „დღიურში“, რომ, ვითომ, მე ამომირჩიეს გამგედ საეკკლ. მუზეუმისა. ამომირჩიეს-კი არა, მხოლოდ დამინიშნეს ჯამაგირი, გამგედ-კი დამტკიცებულ ვიქმენ 20 აპრ. 1898 წ. ეგზარხოსის ფლობინისაგან ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის წარდგენილებისამებრ, და ამ თანამდებობას ვასრულებდი 1901 წლამდე, როდესაც ავადმყოფობისა გამო ველარ შევძელ მუშაობა მუზეუმში.—უკანა გვერდზედ, რომ „ვითომ, 19 ივნისის საეკკლ. მუზეუმის კომიტეტის კრებაზე მე გამომეცხადებინოს: ხახანაშვილმა ვერ გამოსცა „ბალჰვარ და იოდასაფი“ ჯეროვანადო. ამის დამწერი ნეტა როგორ არ დაეკითხა თავის თავს, რა საქმე ჰქონდა მუზეუმის კომიტეტს პროფეს. ხახანაშვილთან, რომ მის შესახებ აღძრა კითხვა თავის **კრებაზე** და მეც ავდექი და გამოვუცხადე ყველას —ხახანაშვილს შეცდომებით დაუბეჭდია თვისი წიგნიო. და, კიდევ, ნუ-თუ კარბელაშვილს ჰგონია, რომ კომიტეტის ახალი თავმჯდომარე, ძალ-ღონით აღსავსე ეპისკოპოსი დიმიტრი, საქართველოს წმ. მაკურთხეველთა საყდარსა ზედა მჯდომარე, მუზეუმის განახლებულ კომიტეტის პირველსავე კრებაზე ვისმე ნებას მისცემდა გარეშე საგანზე, ამ შემთხვევაში ხახანაშვილის წიგნის შესახებ, ჩამოეგდო ლაპარაკი, ან შემოეტანა „განცხადება“. ტყუილს მოკლე ფეხები აბია. საქმე ასე იყო. კრება რომ გათავდა, ზოგი წევრები წავიდ-წამოვიდნენ და ზოგნიც აიშალნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ და ერთმანეთთან საუბრობდნენ სხვა-და-სხვა საგნის შესახებ; მომიახლოვდა კარბელაშვილი და მკითხა: გითქვამსო, ხახანაშვილის „ბალჰვარ და იოდასაფში“ შეცდომები არისო.—ოცამდე, მეთქი. შეადარე პალეოგრაფიული ტაბულა დაბეჭდილთან. ეს იყო და ეს. ჩემი სიტყვები თითო-ოროლამ თუ გაიგო.

„ივერიაში“ რომ ბიბლიოგრაფიული წერილი დავბეჭდე ხახანაშვილის „ბალჰვარ და იოდასაფის შესახებ (№ 85), მაშინვე გრ. ყიფშიძეს განუზიარე, რომ წიგნში შევნიშნე ზოგი რამ შეცდომა, გარნა ამის შესახებ მე თვით ხახანაშვილს ვაცნობებ-მეთქი და, თუ საჭიროდ დაინახა, თვითონვე შეასწორებს. მასვე მაშინვე ესეც გავანდე, რომ ალ. ხახანაშვილი მშვენიერი მკითხველია ძველის ხელისა და, იქნება, აქედგან გაგზავნილს დაენდო და ისე გამოსცა წიგნი-მეთქი. მანაც მოიწონა ჩემი განზრახვა. მე-2 მაისსვე დავამზადე ის წერილი, რომელიც ქვემორე ამის, თანახმად კარბელაშვილის გამოწვევისა, იბეჭდება.

შემდეგ იქვე: „მე დარწმუნებული ვარ, **რაკი ჯანაშვილის თვისება კარგად ვიცი**, რომ ეს თავის აზრი ხახანაშვილის გამოცემის შესახებ ქალაქში ბევრისათვის ექნება ნაამბობი“. გრ. ყიფშიძის გარდა მე არავისთვის არ მიცნობებია, რომ ხახანაშვილის წიგნში შეცდომები არისო, და გრ. ყიფშიძე, როგორც თანაშემწე რედაქტორისა და ამასთანავე კარგი მეგობარი ჩემი და ხახანაშვილისა, მისდამი რწმუნებულს ხაშიადს ვერ გასთქვამდა სჩანს, სხვა წყაროდგან შეუტყვია მ. კარბელაშვილს ის, რაც მე მხოლოდ ყიფშიძეს განვუზიარე. და ეს წყაროები-კი დაიბადებოდნენ **მხოლოდ** 18 და 19 ივნისს. ამ წყაროებმა მეც მომიტანეს ბევრი და საოცარი ამბები, გარნა, რადგან ვიცოდი, რომ მათი ნადინარი მხოლოდ სიმდვრივეა, იწუბა და წუმპე, ყურადღებაც არ მივაქციე... პორიკანობის და ენატანიაობისათვის შორ ქალაქებში წასვლა, უმაღლესად განათლება საჭირო არ იყო, ბატონებო!.. ჩვენ ყველანი მოწოდებულნი ვართ ძმობა და ერთობა ვიქადაგოთ და ვნერგოთ ერში და არა შფოთი და განხეთქილება იდუმლად არ უნდა ვდევნოთ ერთმანეთი და აშკარად, ტუტუცების მოსაცრუებლად, არ უნდა ვიყვიროთ: პატრიოტები ვართო!.. რა აზრი აქვს კარბელაშვილს ვითომ-და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას, თუ არა ის, რომ წაეჩხუბოს ორი მეგობარი კაცი? განა, საკმაო არ იყო, ტაბულა დაბეჭდილთან შეედარებინა, დარწმუნებულიყო ჩემი ნათქვამის სინამდვილეში და, თუ თვითონ იყო დამნაშავე, ბოდიში მოეხადა მეცნიერის წინაშე და კვლავ აღარ გაებედნა ვისიმე მოცრუება. მაგრამ არა. მას ჰსურდა გამოეწვია რაღაც სეირი, რომლის ცქერითაც იგი, რასაკვირველია, ვერ დასტკბება. ჩემს თვისებებსაც ეხება კარბელაშვილი. რა მეთქმის იმის მეტი, რაც ამ გვარ გულთამხილავების შესახებ თქვა კრილოვმა: „Не лучше-ли, кума, на себя оборотиться!“

II

ძვირფასო ძმაო
ალექსანდრე!

თქვენ-მიერ გამოგზავნილი თქვენი ახალი შრომა—ბალჰვარ და იოდასაფ—მივიღე. გმადლობთ ძვირფას ძღვნის გამოგზავნისათვის. „ივერიისა“ და „კავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქციების მონდობილობით ბიბლიოგრაფიული წერილები მის შესახებ უკვე შევადგინე. „ივერიამ“ კიდეც დაბეჭდა (№ 85) და მეორე რედაქციაც მალე დაბეჭდავს. ამასთანავე ჩემს სალმრთო მოვალეობად ვსთვლი, მეგობარმა მეგობარს გაუწყო, რომ „ბალჰვარ და იოდასაფ“-ში თითო-ოროლა შეცდომაც შეპარულა, რომელთა საქვეყნოდ გამოცხადება მე მეტად და უადგილოდ მივიჩნიე. ან-და როგორ იქნება, რომ წიგნი დაიბეჭდოს და ისიც ძველი, გადასულ-გადალეულ ხელიდგან გადმოწერილი, და არც ერთი ასო არ გამოეპაროს კაცს. ვისაც ძველ წიგნებთან ჰქონია საქმე, ვისაც 800—1000 წლების უწინარეს დროის წიგნები გადმოუწერია, იმან კარგად იცის, რომ თვით გამჭრიახი თვალიც-კი წიგნში ხანგრძლივ ჩაცქერით იღლება, სტრიქონები ქრიკ-ქრიკს იწყებენ, თვალი ერთი ასოდგან მეორეზედ გადარბის, ერთი სიტყვიდგან მეორეზედ გადახტის, და ასეთი მოღალულობა აქა-იქ ჰბადებს შეცდომას. ისიც სათქმელია, რომ ამისთანა ცეცხლის შრომით გადაწერილი ტექსტი, ხშირად, მახინჯდება თვით ბეჭდვის დროსაც, სტამბის მიზეზის გამო. ამიტომაც ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ჩვენს სიძველეთ-საცავებს არც ერთი წიგნი არ გამოეცათ უმისოდ, რომ მისი დაბეჭდვა ორი კაცისთვის მაინც არ მიენდოთ: რასაც ერთის თვალი ვერ დაინახავს, მეორისა შეამჩნევს, და გამოცემა შეცდომების უმეტეს ნაწილს აცილებული იქნება. ასეთია ჩემი აზრი ძველის წიგნების გამოცემის შესახებ. ამის შესახებ იქნება თქვენც სადმე ამოიღოთ ხმა და თქვენი აზრიც შეგვატყობინოთ.

„ბალჰვარ და იოდასაფ“-ისათვის ჩაგირთავთ ორი პალეოგრაფიული ტაბულა. ამათგან პირველი ტაბულა, ბიბლიოგრაფიულ წერილის შედგენის დროს, მე შევადარე თვით თქვენს წიგნში დაბეჭდილს ტექსტს (გვ. 5—6) და, როგორც ზევითაც ვსთქვი, შევნიშნე ზოგი რამ შეცდომა; აქვე აღვნუსხავ ამ შეცდომებს.

პირველი სვეტი პირველის ტაბულისა

დაბეჭდილია:	დედანშია (ტაბულაში):
გამოთქმად (ტექსტ., გვ. 5 სტრ. 24)	გამოთქუმად (სტრ. 7)
სწთრ῀სათა (იქვე სტრ. 24)	სწთრჲსათა (8)
მეძიებელთა ამის საწუთროსათა (იქ. 25)	მეძიებელთა საწუთროჲსათა (10)
წარმავალობასა (იქ. 26)	წარმავლობასა (13)
რომელნი იგი (28)	რომელნი (16)
დ̃ შურებიან (28)	დაშურებიან (17)
სხვანი (29)	სხუანი (18)
საწუთროსა (29)	საწუთროჲსაჲ (20)
დ̃ ს῀ხა (გვ 6, სტრ. 3)	დ̃ სხუაჲცა (26)
ესე ვითარი (იქვე)	ესე დ̃ ესე ვითარი (27)
შეცდუნებაჲ (იქ., 6)	შეცთუნებაჲ (2 სვ., სტ. 3)
საწუთროჲსა (იქ., 7)	საწუთროჲსაჲ (4)
ზრახვა (იქ., 9)	ზრახვაჲ (6)
მუნიერთგან (11)	მუნიერითგან (11)
სიტყუა (11)	სიტყუაჲ (12)
ესე წარმავალი (12)	ესე და წარმავალი (15)
უკეთუ (13)	უკუეთუ (16)

---

*) ჩვენ მივიღეთ ეს ორი წერილი ბ-ნ მოსე ჯანაშვილისაგან, რომელიცა გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში. ვასრულებთ მის თხოვნას და ვბეჭდავთ ამ წერილებს შეუცვლელად. რედ.

მამისასა (14)	მეფისასა (?) (9)
ერისასა (14)	იერისასა (20)
ხოლო მიუდრეკელვარ (16)	ხოლო მე მიუდრეკელვარ (22)
რომლითა (17)	თუ რომლითა (26)
განვერო (18)	განვერე (27)

ასეთი წვრიმალი შეცდომები თქვენს წიგნს ვერ დააკლებენ მის ღირსებას, მაგრამ მაინც საჭიროდ ვსცან მეცნობებინა, რადგან, კაცნი ვართ, ვინ იცის, გამოტყვრეს ვინმე, აურზაური აგიტეხოს და გაგაბოროტოს, და უანგარო მოღვაწის გაბოროტება-კი მე დიდ ცოდვად მიმაჩნია. გაცნობებ ამას და, ეგების, საჭიროდ დაინახო თვით ამ წვრიმალ შეცდომების გასწორება. და, ბოლოს, თუ ჩემი წაკითხული უმართლო გამოდგეს, ანუ თვით ჩემი წერილი უადგილო გეჩვენოსთ, მაპატიეთ: მე მას გწერთ, როგორც უერთგულესი თქვენი მეგობარი და თქვენი შრომისა და მოღვაწეობის დიდად პატივისმცემელი თანამოკალმე. 2 მაისს 1902 წ.

დავშთები თქვენი წარჩინებისა და წარმატების მსურველი მ. ჯანაშვილი.

მეგონა, პატივცემული ხახანაშვილი კლავინდებურად ქალაქში ჩამოვიდოდა მაისშივე და ამიტომ ეს წერილი აღარ გავუგზავნე მოსკოვს, მით უმეტეს, რომ ამ საგნის შესახებ პირადად მოლაპარაკება მასთან ვამჯობინე. მერე გაზეთებიდამ შევიტყე, რომ ხახანაშვილი ათონს წავიდაო. და ამის შემდეგ წერილი გადავდე ზაფხულის გასვლამდე აღარ გამეგზავნა მისთვის.

მ. ჯანაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

გორი. 20 ივნისს ქართულის სცენის მოყვარეთაგან საქველ-მოქმედო განზრახვით წარმოდგენილი იქმნა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „ჭკუისა მჭირს“, რომლებიც ყველას კარგად შეესწავლა. საუცხოვოდ იყო გამოხატული ქ-ნ სვენელისაგან ელისაბედი კავთურელისგან ოსეფა შატპლუტოვი, ბ-ნ დიდლიახვის-პირელისაგან გიჟ-მაჟი აპოლონი და მწუხარე მასწავლებელი. დანარჩენებმაც კარგად შეასრულეს თავიანთი როლი.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მეორე დარბაზში ცეკვა ევროპიული და ქართული. ამ ამბავმა გასტანა ღამის ორ საათამდე და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. ყველა დიდ მადლობას უხდიდა გამგეს, რომ მოწყენილი ქალაქი გაამხიარულა. ვუსურვებთ ახალგაზდობას ხშირად გამართონ წარმოდგენები, ეგების გადაჩვეული ხალხი ისევ შეაჩვიონ ამ კეთილსა და სასარგებლო გასართობს.

შემოსავალი სულ, როგორც გავიგეთ, 110 მ. ყოფილა.

წერილი

რედაქციის მიმართ

ერთის უსაფუძვლო საყვედურის გამო

ბ-ნო რედაქტორო, თქვენც კარგად უწყით, რომ ჩემს სიცოცხლეში საყვედურების მეტი არა მსმენია-რა და, ასე წარმოიდგინეთ—შევეჩვიე კიდეც ყოველგვარ საყვედურებს; მაგრამ გუშინდელ თქვენს პატივცემულ გაზეთში დასტამბულმა საყვედურმა ბ-ნის ჯიხაიშელისამ დ. აბაშიდან, სწორედ მოგახსენოთ, გამაოცა!.. ხეტა, რისთვის იგდებს აბუჩად აბაშელებს ბ-ნი გუნია, რათ აბაშაში არც ერთი წარმოდგენა არ გამართაო, ბრძანებს ბ-ნი ჯიხაიშელი. ჯერ ერთი რომ მე აბუჩად არავინ ამიგდია და არც ზნეთა მჭირს ასეთი უკადრისობა. პირ-იქით ყოველთვის დიდის სიყვარულით და პატივით ვეკიდები იმ საზოგადოებას, რომელსაც ჩემის ძალ-ღონისა დაგვარად ვემსახურები.

რაც შეეხება ბ-ნის ჯიხაიშელის მოსაზრებას: ალბად ბ-ნ გუნიამ იმიტომ თუ აუქცია აბაშას მხარი, რომ ზარალისა შეეშინდაო—ეგ ცოტა, არ იყოს, უმართებულო გულთმისნობაა!.. ჩვენს მოგზაურობას პროვინციებში აზრად ფული და შემოსავალი-კი არ ჰქონდა, არამედ სხვა უფრო კეთილშობილური საგანი და, სხვათა შორის, ჩვენი ეროვნული ხელოვნების ჩვენება საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა და ამ მხრივ სამეგრელო ჩემთვის ყველა'ზე უფრო საინტერესო იყო. ახალსენაკში თუ ჩავედი, მხოლოდ ამისათვის, თორემ შემოსავლის იმედი არც მქონდა და არც-არა სახარბიელო იყო... აბაშაში მე შარშანაც და წელსაც ვაპირებდი წარმოდგენების გამართვას, მაგრამ თვითონ აბაშელებმა მითხრეს, რომ შესაფერი ადგილი აღარ არისო და ისე-კი, მინდორზედ ხომ ვერ გავმართავდი წარმოდგენებს.

ვარწმუნებ ბ-ნ ჯიხაიშელს, რომ თუ ცოტათი მაინც შესაფერი ადგილები იქნება წარმოდგენების გასამართავად, არა თუ აბაშაში, ჯიხაიშშიაც და სხვა დაბა-სოფლებშიაც დიდის სიამოვნებით და სიხარულით ჩამოვალთ.

დასასრულ საყვედურის მაგიერ დიდს მადლობას გამოვუცხადებდი ბ-ნ ჯიხაიშელს და სხვებსაც—ჩვენის დაბა-სოფლების ახალგაზდებს, რომ ისინი იკისრებდნენ და ამისთანა შემთხვევებში დია წერილით მაინც შეგვატყობინებდნენ, რომ ამა-და-ამ ადგილებში შეიძლება სცენა გაიმართოს ჩვენის წარმოდგენებისათვის, დეკორაციები და სხვა მოწყობილება სცენისა მე უკვე დამზადებული მაქვს. საჭიროა მხოლოდ ადგილი და იმ საზოგადოების სურვილი ჩვენის ნახვისა. ასე თუ შეგვიწყობენ ხელს და დაგვეხმარებიან, მაშინ ჩვენი საქმეც ერთი-ორად გაადვილდება და სიხარულით ვესტუმრებით ყველა ჩვენს კუთხეებს.

ვალერიან გუნია.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 ივნისი

პეტერბურგი. შეღავათიანი ტარიფი პურის გადაზიდვისა მოუსავლიან ალაგებში პირველ აგვისტომდე გასტანს.

ვერჟბოლოვო. დიდმა მთავრინამ მარიამ ალექსანდრეს ასულმა გაიარა.

ლონდონი. მეფემ ეს ღამეც ჩინებულად გაატარა; ის ძალიან კარგად ჰგრძნობს თავს. ჩვენ ბედნიერნი ვართ გამოვაცხადოთ, რომ ამ ჟამად მეფის ჯანმრთელობა ყოველ შიშს გარეშეა. ტრევეზი, ლეკინგი, ბარლოუ.

გააგა. დღეს მოხდა საერთაშორისო სასამართლოს კრება. ორივე მხრის დელეგატებმა მადლობა განუცხადეს ნიდერლანდის დელეგატს ასსერს. განაჩენი სექტემბერში იქმნება გამოცხადებული.

რომი. „ტრიბუნა“ იუწყება, რომ მეფე რუსეთის საზღვრამდის იტალიის მატარებლით წავა, ხოლო ვერჟბოლოვოში გადაჯდება რუსეთის საიმპერატორო მატარებელშიო.

რომი. გაზეთ „კაპიტალის“ ცნობებით, მეფე გაემგზავრება რუსეთში სამშაბათს ან ოთხშაბათს მარშრუტით—ბრენერზე გაივლის საქსონიამდის და შემდეგ ვილნოზე გავლით პეტერბურგს მივა და ამავე მარშრუტით დაბრუნდება. მეფე სამს დღეს დაჰყოფს რუსეთში. ერთ დღეს პეტერგოფში, მეორეს პეტერბურგში და მესამეს ბანაკში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. დილკი ჰკიცხავს მთავრობას იტალიასთან განწყობილების შესუსტებისათვის და კრიტიკულად არჩევს ინგლისის პოლიტიკას ჩინეთში. ვიკონტი კრანბორნი უპასუხებს, რომ ცოტაოდენი უკმაყოფილება მოხდა იტალიაში, მაგრამ იგი უკვე გაქარწყალდა. რუსეთთან შეთანხმების შესახებ კრანბორნი ამბობს, რომ მთავრობას ჰსურს ყველა ქვეყანასთან თანხმობა ჰქონდეს.

ვენა. „ნეიე ვინერ ტაგიბლატ“-ი, განიხილავს-რა ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის შეთანხმებულს მოქმედებას, იმედს გამოსთქვამს, რომ ის უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია ფირმილიანეს საქმემ და იმ ხმებმა, ვითომც ბულგარია სამეფოდ უნდა გამოცხადდეს, დასცხრება და ოსმალეთი დარწმუნდება, რომ ორ-სახელმწიფოთა შეთანხმების განზრახვა ახლანდელის მდგომარეობის დაცვაა.

რომი. „ტრიბუნა“ კრანბორნის და დელკასეს სიტყვების თაობაზედ შენიშნავს, რომ იტალიას, რომელიც საფრანგეთთან დაკავშირებულია საერთო მისწრაფებით, ხოლო გერმანიასთან და ავსტრიასთან—მოვალეობით, შეუძლიან უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ლონდონიდან მოძღვნილს მეგობრობას.

პეტერბურგი. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებაზე განსაკუთრებულმა საბჭომ 18 და 21 მაისის კრებაზე გადასწყვიტა: 1) სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ინტერესებისათვის საჭიროებას არ შეადგენს არსებულ კანონის გადათვალიერება რკინის გზის ტარიფებზე; 2) პურის გადატანისათვის არსებული ტარიფები არ საჭიროებენ გადაკეთებას და 3) უკეთუ ადგილობრივი კომიტეტები აღძრავენ კითხვას ტარიფების შეცვლაზე, ეს კითხვა უნდა გარდაეცეს სატარიფო დაწესებულებას დასკვნის წარმოსადგენად.

23 ივნისი

შემახა. ქალაქი შესამჩნევად გაშენდა; ყოველ დღე 70-ზე მეტ სამოსახლო ადგილს არიგებენ.

რომი. სენატში კანონიკოს წინადადება შეაქვს, მიულოცონ ინგლისის მეფეს მორჩენა; წინადადება ერთხმად მიიღეს. კავალლიმ წინადადება შეიტანა, რომ მეფე ვიქტორ-ემმანუილს პეტერბურგში წასვლამდე სენატმა აგრესი მიართვას. სენატმა მოიწონა ეს წინადადება.

რომი. ის ხმა, ვითომც მეფე პეტერბურგისა და ბერლინის გარდა ლონდონსა და პარიზშიაც მივა, სიმართლეს მოკლებულია.

პეტერბურგი. 22 ივნისს დაიწყო წესიერი მიმოსვლა მატარებლისა სადგურებ ჩასოვნიასა და მელეკესის შუა,—სულ 86 ვერსის მანძილზედ. კირასირთა პოლკის ორასის წლის იუბილეიზედ 21 ივნისს გარდახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ პოლკის პარადი; მერე ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები და უავგუსტოესნი პირნი წაბრძანდნენ მანეჟში. ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ღვინით სავსე ჭიქა და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა პოლკს: „ვუსურვებ ლეიბ-გვარდიის კირასირთა პოლკს დიდებასა და აღყვავებას და გულითადად ვმადლობ ყველას, ვინც ამ პოლკში მსახურებდა და მსახურებს, მეფეთა და სამშობლოს ერთგულ და სახელოვან სამსახურისათვის. კიდევ ვუსურვებ ჩემს პოლკს დიდებასა და აღყვავებას. ღმერთმა გადღეგრძელოთ, ძმებო!“ შემდეგ გაიმართა საუზმე ოფიცერთა საკრებულოში. საუზმეს დაესწრნენ დედოფლები, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები და მთავრინები. იმპერატორმა შემდეგი სიტყვა სთქვა: „დედოფლისა და ჩემს მაგიერ გილოცავთ დღევანდელ დიდ-მნიშვნელოვან იუბილეის; გმადლობთ თქვენც თქვენ წინაპართ სამსახურისათვის და ვუსურვებ აყვავებას კირასირთა პოლკს. იცოცხლეთ ბატონებო! ურა!“ განუწყვეტელი „ურა“ იყო პასუხი უავგუსტოესის შეფის სიტყვისა. ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფლებმა და დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ ოფიცერთა საკრებულოს ბაღში სახსოვრად თითო მუხის ხე დარგეს. კირასირთა პოლკის უფროსი გენერალ-მაიორი პრეჟენცოვი მის უდიდებულესობის ამალაში ჩარიცხულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287 მყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¼ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	176 წვ. გაყ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან). . . .	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის მმართველობა ამით იუწყება, რომ საჭიროა მისთვის სახლი ბელინსკის სახელობაზედ კუკიის სკოლისათვის, მეცხრე და მეათე პოლიციის უჩასტკაში, ეზოთი, სამზარეულოთი და სარაიით შეშისათვის. სახლი საჭიროა არა ნაკლებ 8 ოთახიანი, რომელთაგან სამი ოთახი უნდა იყოს ნათელი და დიდი, 9 არშინი სიგრძე და 10½ სიგანე, ან-და 13 არშინი და 9 გოჯი სიგრძე და 7½ სიგანე. სიმაღლე ოთახებს უნდა ჰქონდეს 4 არშინი და 14 გოჯი.

(3—6.—2)

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობა

„შხტა“

აცხადებს ბ-ნთ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ მან დაჰნიშნა 5%-იან შემოტანის ვადად, ესე იგი 5 მანეთისა თითოულ პაიზედ, 19-დგან 28 ივნისამდე და 28 ივნისიდგან 8 ივნისამდე ჯარიმითურთ თანახმად საამხანაგო ხელ-შეკრულობისა მე-7 §-ისა.

(5—364—5)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკა აქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (წლ.—6.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლელისა	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, გ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ვ. ეონჩოშვილისა	1 ,,
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ Карбеловъ	,, 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
კოპერნიკიდან დარვინამდე	,, 10
კანდელი, მ. ღლაშვილისა	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
უკვდავთა დალაგებანი, მ. ჯანაშვილისა	15
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელთ და პატრაში, თრ. ეკ. წერეთლისა	,, 10
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
დედა, ანდერსენისა	,, 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	,, 30
კუბიკები ქართულის ანბანის	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,, 15
დენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій Е.ропов съ, К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	,, 3
ამბავი მადლის ქვისა	,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია.	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა.	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	,, 30
გლეხ-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკისა	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	,, 25
რამს განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	,, 60
აერო დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძისა.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა	,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა.	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 20
ტარტუფი, თარგ. ივ. მაჩაბარიანისა	,, 50
ნათელა, აკაკისა	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი ბოქმა, ან. ფურცელაძისა.	,, 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სონა, საყმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25

ავჭალის ქუჩაზე, ყაფნის პირდაპირ,

იაკობ ისარლოვის სახლში

იძლევა ქირით მოწყობილი ვენტილიაციებით და წყალით

ღვინის დიდი სარდაფი,

სადაც ეტევა სამოცი ბოჩკა ღვინო დაზაფხულობით სითბო 14 გრადუსს არ აღემატება. იქვე ქირით იძლევა ერთი მაღაზია.

(3—369—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.